აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომა

# ო ქ მ ი №4

ქ. ბათუმი 29. 05. 2004 წ.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე;
2. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციისათვის მიმართვის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე;
3. ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე;
4. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა, კომისიის წევრები: სიმონ ჩხაიძე, გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „აჭარის არ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უფლებამოსილი სუბიექტის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა. ეს რიცხვი 31 მაისია, მაგრამ ვინაიდან ვადები ძალიან მოკლეა და ეს პროცესი დიდ შრომატევად საქმეს მოითხოვს, ამიტომ ეს ვადა შეიძლება გადაიწიოს 1 ივნისამდე. დასმული საკითხის ირგვლივ კამათი არ ყოფილა, ვინაიდან კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა, ეყარა კენჭი და იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა გიზო მჭედლიძე. მან ისაუბრა იმის თაობაზე, რომ საოლქო საარჩევნო

კომისია მუშაობას იწყებს 30 მაისიდან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციისათვის რჩებათ ერთი დღე, ამიტომ „აჭარის არ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის არ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე შესაძლებელია ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციისათვის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიმართვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 1 ივნისი.

აღნიშნულ საკითხებს კენჭი ეყარა და იქნა მიღებული. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე კომისიის წევრებს დარიგებული ჰქონდათ საარჩევნო დომკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით. კერძოდ:

1. აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წევრების კანდიდატის (პროპორციული არჩევნების)
2. აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წევრების კანდიდატის (მაჟორიტარული არჩევნების)
3. აჭარის არ უსკოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის (ბლოკის პარტიული სიის)
4. ამომრჩეველთა სიის დანართის
5. ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმა
6. ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრის ფორმა
7. ამომრჩეველთა სპეციალური ფორმა.

ფორმათა ნიმუში მისაღები აღმოჩნდა კომისიის ყველა წევრისთვის, ეყარა კენჭი და იქნა მიღებული.

თავმჯდომარე: ი. ფაღავა

მდივანი: გ. მჭედლიძე